პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი / Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი. 2 ივლისი, 1988 წელი ● № 27 (8055) ● СУББОТА, 2 ИЮЛЯ 1988 г.

სკკპ XIX კონფერენცია

## ლენინური იდეებით გავაღრმავოთ გარდაქმნა



## სკკპ XIX საკავშირო პარტკონფერენციის დღიური:

1988 წლის 28 ივნისს მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში საქმიან ვითარებაში, ლენინური ტრადიციების სულისკვეთებით მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციამ.

დილის 10 საათია. დელეგატები ტაშით ეხალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, ამხანაგებს: მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ე. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის და ვ. მ. ჩებრიკოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს სახელით მან წინადადება შეიტანა აირჩიონ კონფერენციის პრეზიდიუმი ყრილობაზე ნაკლები რაოდენობრივი შემადგენლობით — 112 კაცი. წინადადებას ერთხულოვნად ეთანხმებიან.

შემდეგ ერთხმად ჩამოაყალიბეს კონფერენციის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები — სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

თავმჯდომარემ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. კ. ლიგაჩოვმა გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დამტკიცებული კონფერენციის დღის წესრიგი.

მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი და რეგლამენტი.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება: „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები“ დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

საღამოს სხდომაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი თავმჯდომარეობდა, კონფერენციის მონაწილენი შეუდგნენ მოხსენების განხილვას.

ამავე დღეს კონფერენციის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

29 ივნისს კონფერენციამ მუშაობა განაგრძო. დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი.

კონფერენციის დელეგატებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. პ. რაზუმოვსკიმ. სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს.

შემდეგ დელეგატები კვლავ განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას.

კონფერენციის მონაწილეებმა აირჩიეს კომისიები, რომლებიც მოამზადებენ რეზოლუციათა პროექტებს.

შესვენების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ნ. სლიუნკოვის თავმჯდომარეობით განახლდა მოხსენების განხილვა.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი.

სხდომის დასასრულს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა კონფერენციის პრეზიდიუმში შემოსულ მთელ რიგ შეკითხვებს.

კონფერენციის ორი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ დელეგატები და სტუმრები მიიწვიეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ კონცერტზე.

30 ივნისს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა XIX საკავშირო კონფერენცია.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

კონფერენციის დელეგატები კვლავ განიხილავდნენ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები“.

კონფერენციის დელეგატების მიერ აღძრული მთელი რიგი პრინციპული საკითხების გამო ახსნა-განმარტებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი — „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“ რეზოლუციების პროექტების შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე.

დღის სხდომაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი თავმჯდომარეობდა, გამოვიდა სამანდატო კომისიის თავმჯდომარე გ. პ. რაზუმოვსკი. მან განაცხადა, რომ ფაქტები, რომლებსაც შეიცავს ჟურნალ „ოგონიოკის“ მიერ გამოქვეყნებული სტატია „პირდაპირ“, უფრო გულმოდგინე შემოწმებას საჭიროებს, და წინადადება წამოაყენა ეს სამუშაო დაევალოთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტსა და სსრ კავშირის პროკურატურას. წინადადება მიიღეს.

დელეგატთა თხოვნით ამ საკითხს შესაბამისი განმარტება მისცა ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ა. კოროტიჩმა.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვოროტნიკოვი.

სრული ინფორმაცია კონფერენციის მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნებულია ცენტრალურ გაზეთებში.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**27 ИЮНЯ состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.**

**На совещании с информацией о состоянии оперативной обстановки в республике с I по 26 июня 1988 года выступил начальник организационно-инспекторского отдела министерства подполковник милиции К. Буджнашвили.**

**Руководству УУР (начальник — полковник Т. Варданашвили) и УООП (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) МВД ГССР поручено осуществить необходимые меры по своевременному предупреждению преступлений, направленных против личности, и, в первую очередь, телесных повреждений, изнасилований и покушений на них, а также краж госимущества; активизировать оперативные мероприятия по раскрытию преступлений.**

**Руководству УБХСС МВД ГССР (начальник — полковник милиции Б. Чантуришвили) предложено принять дополнительные меры по борьбе с нетрудовыми доходами, в том числе в кооперативных объединениях.**

**Руководству УГАИ МВД ГССР (начальник — полковник милиции Г. Цинцадзе) поручено разработать и осуществить мероприятия по профилактике детского травматизма на улицах, шире использовать для этого возможности средств массовой информации.**

**На совещании принята к сведению информация начальника УООП МВД ГССР полковника внутренней службы Г. Бичашвили о состоянии борьбы в республике с преступлениями на почве бытовых отношений. Решено улучшить деятельность участковых инспекторов милиции, обязать руководителей горрайорганов внутренних дел взять под личный контроль их работу и организацию предупредительных мер по профилактике преступлений в сфере семейно-бытовых отношений.**

## В ПАРТИЙНОМ КОМИТЕТЕ МВД ГССР

**23 ИЮНЯ** состоялось очередное заседание партийного комитета МВД ГССР, на котором был рассмотрен вопрос «О проделанной работе и мерах, предпринимаемых парторганизацией и руководством УВО МВД ГССР по повышению эффективности службы в условиях перестройки». Работа службы в этом направлении признана недостаточной.

Внимание партийного бюро управления (секретарь — майор милиции К. Коркашвили) обращено на имеющиеся недостатки и упущения в партийно-политическом обеспечении решения оперативно-служебных задач и кадровых вопросов. Отмечалась необходимость осуществить конкретные меры по усилению партийного влияния на управленческую деятельность аппарата, повышению требовательности к коммунистам, руководящим работникам за конечные результаты работы.

На заседании партийного комитета был также обсужден вопрос о состоянии работы по выпуску стенных газет в службах центрального аппарата министерства и мерах по улучшению партийного руководства перестройкой их работы.

Было отмечено, что работа ряда парторганизаций по руководству стенной печатью ведется упрощенно, с проявлением приверженности к сложившимся стереотипам. Перестройка работы стенной печати в соответствии с требованиями времени идет медленно. В ряде стенгазет не прослеживается определенной четкой системы, материалам не хватает политической направленности и глубокого проникновения в существо решаемых проблем. Недостаточно освещаются актуальные вопросы конкретной деятельности служб в условиях перестройки, не на должном уровне ведется пропаганда передового опыта. Редколлегиям большинства стенгазет крайне необходимо самокритично оценивать сделанное, вести активный поиск новых форм и методов работы.

Секретарям партийных организаций служб центрального аппарата министерства поручено принять практические меры по улучшению работы редколлегий стенных газет.

 

**რამდენიმე** დღეც და ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების კარებს ათასობით ახალგაზრდა შეაღებს, შეაღებს რათა თანასწორ „ბრძოლაში" ჩაებას თანატოლებთან და სტუდენტის სახელი მოიხვეჭოს, ეს მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია. როგორ ხვდება მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი? რა სიახლეები მოელით აბიტურიენტებს? ამაზე და სხვა მრავალ საკითხზე ჩვენი კორესპონდენტი სოსო ალავიძე ესაუბრა იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს პროფესორს ვალერიან მეტრეველს.

გამოცდები, გამოცდები

# სრულყოფილ კანონს მაღალ-კვალიფიციური დამცველი სჭირდება



**— ბატონო ვალერიან, აბიტურიენტები და მშობლები მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის დამტკიცდებოდა მისაღები გამოცდების საბოლოო პროგრამა, ამ მოლოდინში კი მრავალი ჭორი და მცდარი აზრი დაიბადა — როგორ და რა სიახლეებით ჩატარდება წელს გამოცდები იურიდიულ ფაკულტეტზე?**

— სიახლეები მართლაც ბევრი გვაქვს, შეიძლება ითქვას მისაღებმა გამოცდებმა უფრო დემოკრატიული სახე მიიღო, მოხსნილი არის მრავალი ისეთი შეღავათი, რომელიც ჩვენი კომისიის წევრებს ობიექტური მოქმედების საშუალებას არ აძლევდა, კერძოდ, გაუქმდა ორწლიანი სტაჟის პრივილეგია. მიღება არ გამოგვიცხადებია მოსამზადებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტები კონკურსის გარეშე ავტომატურად ირიცხებოდნენ, სწავლის პროცესში კი მჟღავნდებოდა, რომ მოთხოვნები და შესაძლებლობები სრულიად სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებოდნენ და გვიხდებოდა მათი გარიცხვა.

**— ბატონო ვალერიან, მაინც რა გამონაკლის შეღავათებს ითვალისწინებს მისაღები გამოცდების წესი?**

— შეღავათი (უკონკურსოდ ჩარიცხვა) გათვალისწინებულია მხოლოდ ობოლი ახალგაზრდებისათვის და — „ავღანელებისათვის", როგორც ჩვენ მათ ვეძახით, ავღანეთიდან ინტერნაციონალური ვალის მოხდის შემდეგ დემობილიზებული ახალგაზრდებისათვის.

**— არსებობს სტატისტიკა, რომ პროცენტულად ავღანეთიდან დემობილიზებული ახალგაზრდების უმრავლესობას სწორედ იურიდიული ფაკულტეტისკენ მოუწევთ გული, როგორ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა, როგორც მასიური პროფესიონალური მოწოდება, თუ?...**

— ეს ერთ-ერთი მტკივნეული საკითხთაგანია, ახალგაზრდების უმრავლესობა შეიძლება ითქვას „ფეხის ხმას" არიან აყოლილები და ის ენთუზიაზმი, რომელსაც მოსამზადებელ კურსებზე სწავლების დრო ამჟღავნებენ, უკვე სტუდენტობის დროს სადღაც ქრება. დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ საერთო მომზადების დონე, მრავალ ასეთ აბიტურიენტს მორალურ უფლებას არ უნდა აძლევდეს პრეტენზია განაცხადოს სტუდენტობაზე. გვყავს ისეთი სტუდენტებიც, რომელთაც გადატანილი აქვთ მძიმე ჭრილობები, ამიტომ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობთ მათ ნაყოფიერ ცოდნას დაეუფლონ, სუსტად მომზადებულ იურისტს კი, მოგეხსენებათ, არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია საზოგადოებისათვის, იგი ხომ ფაქტიურად კანონების უცოდინარი „დამცველია".

**— ბატონო ვალერიან, რა ძირითადი მიმართულებით მოუწევთ მომავალ სტუდენტებს დახელოვნება და რამდენი ღირსეული გახდება წელს სტუდენტის საპატიო სახელის მატარებელი?**

— ჩვენს ფაკულტეტზე წელს მიღება გამოცხადდა დღისა და საღამოს დასწრებულ სწავლებაზე, მოსალოდნელი იყო დაუსწრებელი სწავლების აღდგენა, მაგრამ საკავშირო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ეს მიზანშეწონილად არ ჩათვალა. დღის დასწრებულზე მიღება არის მარტო ქართულ სექტორზე, საღამო სექტორზე კი მხოლოდ რუსულზე. 95 ახალგაზრდას ელის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის საპატიო სახელი. სწავლება ჩვენთან სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს. ესენია: 1. საპროკურორო-საგამომძიებლო, 2. სამოქალაქო-სამეურნეო 3. სახელმწიფო-სამართლებრივი. სწავლის დამთავრების შემდეგ განაწილებაც შესაბამისი სპეციალობის მიხედვით ხდება.

**— ბატონო ვალერიან, ყოველწლიურად თქვენი ფაკულტეტი ასამდე სპეციალისტს ამზადებს, ციფრი საკმაოდ სოლიდურია, ხომ არ დგას მათი შემდგომი დასაქმების პრობლემა?**

— არა, ყოველწლიურად ჩვენ ვიღებთ ვაკანტური ადგილების შესავსებად მოთხოვნებს პროკურატურის, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებიდან, განაწილებით იგზავნებიან სახალხო მეურნეობებში და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში იურისკონსულტებად. მომავალი წლიდან კიდევ ერთი სიახლე იქნება — კურსდამთავრებულების ხელისუფლების ორგანოებში, კერძოდ, ალმასკომებში განაწილება.

**— ბოლო წლებში შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების ნაკადმა იურიდიულ ფაკულტეტზე ერთი-ორად იკლო, ხომ არ შეიძლება ეს მარტო დაუსწრებელი სწავლების გაუქმებას დავაბრალოთ?**

— მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალში ახლა სწავლობს შს ორგანოების თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი, სკოლას უმაღლესი იურიდიული სტატუსი გააჩნია და მაღალკვალიფიციურ კადრებსაც ამზადებს, ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს მათთან, ვაწყობთ გაცვლით ლექცია-საუბრებს და ბევრი რამ გვაქვს საერთო სწავლების მეთოდიკაში.

რაც შეეხება ჩვენი კურსდამთავრებულების განაწილებას შს ორგანოებში, გეტყვით, რომ წელს 13 ახალგაზრდა სპეციალისტს მოელიან საგამოძიებო ორგანოები, ხოლო თანამშრომელთა ის ნაწილი რომელიც ამჟამად სწავლობს ჩვენს ფაკულტეტზე, თამამად შემიძლია ვთქვა, მხოლოდ კარგი დახასიათებით დაუბრუნდება თავის კოლექტივს.

**— იურისტი ქალი, ქალი გამომძიებელი, ქალი მოსამართლე ისე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, რომ უკვე არავითარ გაოცებას არ იწვევს....**

—მიგიხვდით, ფაკულტეტზე მიღება იქნება თანასწორუფლებიანი, სუსტმა სქესმა ეს უფლება მოიპოვა. რაც შეეხება მათ შემდგომ ბედს — მათი დასაქმება გვიჭირს, ხშირია შემთხვევები, როდესაც განაწილებით გაშვებული სპეციალისტი ცივი უარით უკანვე გვიბრუნდება, აქაოდა იურისტი ქალი არ გვესაჭიროებაო, ამ დაუწერელი კანონით მოქმედება თუ არ შეწყდა, ალბათ ქალთა კონტიგენტი სამუშაოთი დაუკმაყოფილებელი დაგვრჩება. რექტორატი და დეკანატი ყოველ ღონეს ხმარობს რათა ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონდეს.

# ПРОВЕДЕНЫ ИТОГОВЫЕ ЗАНЯТИЯ

**22 ИЮНЯ** состоялись итоговые занятия в системе политучебы центрального аппарата УВД Тбилгорисполкома. В ходе занятий каждому сотруднику было предложено ответить на несколько вопросов — о ходе перестройки в стране, проблемах служебной и политической подготовки. Несмотря на то, что окончательные итоги занятий еще только подводятся, можно с уверенностью сказать, что сотрудники ЦА УВД г. Тбилиси провели их успешно — ни один из них в ходе заключительного собеседования не получил неудовлетворительной оценки.



**НА СНИМКЕ:** на вопросы комиссии отвечает отличник политучебы старший инспектор по контролю за дежурными частями оргинспекторского отдела УВД Тбилгорисполкома майор милиции Г.Арутюнов.

გაიცანით, მოწინავე მუშაკები

# დევიზი — მაღალი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა

**გორის** შს საქალაქო განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ტარიელ კანკია, შინაგან საქმეთა ორგანოებში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთანავე მოვიდა, გაიარა რიგითი მილიციელის გზა, ხოლო მილიციის სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაწესებულებათა დაცვის სისტემაში ასრულებდა საპასუხისმგებლო მოვალეობას. აქვე გადწყვიტა სწავლის გაგრძელება და ჩაირიცხა მილიციის მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, რომელიც 1986 წელს დაამთავრა.

ტ. კანკია გამოირჩევა ენერგიულობით, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით.



მას მონაწილეობა აქვს მიღებული ქვეგანყოფილების მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა ოპერატიულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებში. იგი სისტემატურად მუშაობს საკუთარ თავზე, რათა გაიღრმავოს თეორიული ცოდნა.

მიმდინარე წლის 5 თვეში ქვეგანყოფილებამ გამოავლინა სპეკულაციის 8 ფაქტი, ყველა გამოვლინებაში ტ. კანკიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. უშუალოდ მის მიერ კი გამოვლინდა 4 სპეკულანტი.

მიღწეულით დაუკმაყოფილება და პრინციპულობა — ასეთია კომუნისტ ტ. კანკიას მუშაობის დევიზი.

**ნ. დალაქიშვილი**

**გორის შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

# დიდი გზის დასაწყისთან

**რიგითი** მილიციელი მალხაზ ლომაშვილი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ თავისი თავაზიანობით, მოქალაქეებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, დისციპლინიანობითა და დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგულებით შს განყოფილებაში მოსვლისთანავე მოიპოვა ავტორიტეტი. იგი ჩვენს განყოფილებაში 1981 წელს მოვიდა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისთანავე.

მეოთხე წელია, რაც მალხაზი მიმაგრებულია ცხვარიჭამიის პიონერულ ქალაქ „ცისკრის" ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად და ამ ხნის განმავლობაში არცერთი სერიოზული შენიშვნა არ მიუღია, სამაგიეროდ, სწორედ აქ მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა.

სუსხიანი ღამე იყო. მალხაზთან შეშინებული ტაქსის მძღოლი მივარდა. სამ შეიარაღებულ ახალგაზრდას მისთვის მთელი დღის შემოსული თანხა გამოუძალავიათ და ტაქსი გაუტაციათ. მ. ლომაშვილი და ავტოინსპექტორი ნ. ყირიმელი კვალში ჩაუდგნენ მძარცველებს და ორი მათგანი იმ ღამესვე დააკავეს, ამოიღეს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. მაშინ მალხაზმა პირველი მადლობა და ფასიანი საჩუქარი დაიმსახურა. შემდეგ წარმატებას წარმატება მოჰყვა, რისთვისაც მრავალჯერ წაახალისეს, ორჯერ გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

მალხაზმა 1984 წელს დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ზოგადი ფაკულტეტი. სწავლის გაგრძელებაზე დღესაც ოცნებობს.

მიმდინარე წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მალხაზ ლომაშვილისათვის, კოლექტივმა მას ნდობა გამოუცხადა და სკკპ რიგებში მიიღო. ჩვენ გვწამს, რომ მალხაზი ღირსეულად ატარებს კომუნისტის სახელს.

ყოველთვის მოუთმენლად მოელიან მალხაზის სამსახურიდან დაბრუნებას დუშეთის რაიონის სოფელ არანისში ოჯახის წევრები, რომელიც მეუღლისა და ჯერ მხოლოდ ორი პატარა ვაჟკაცისაგან შედგება. გიორგისა და ირაკლის მოსწონთ მილიციის ფორმაში გამოწყობილი მამა.

დიდი გზის დასაწყისთან მყარად დგას რიგითი მილიციელი მალხაზ ლომაშვილი. ვუსურვებთ, რომ ეს გზა მას სახელიანად, პატიოსნად, სამართლიანობისათვის ბრძოლაში გაევლოს.

**გ. ხეტეშვილი,**

**მცხეთის შს რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის კაპიტანი.**

ИДЕТ СЛУЖЕБНАЯ АТТЕСТАЦИЯ

# ПОВЫШАЯ ТРЕБОВАТЕЛЬНОСТЬ

**СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ** кадровой политики — одна из важнейших задач правоохранительных органов республики. В соответствии с приказом министра внутренних дел СССР, кадровые вопросы рядового и младшего начальствующего состава решаются сейчас непосредственно в горотделах ВД.

В целях активизации данной работы, в Марнеульском ГОВД создана аттестационная комиссия, которая строит свою работу согласно заранее разработанному плану. Аттестацию, которая в текущем году должна охватить весь рядовой и младший начальствующий состав, уже прошли около половины сотрудников ГОВД. Главное, чему при этом уделяется внимание, — изучение политических, деловых и моральных качеств работников ОВД. С ними проводятся индивидуальные беседы, члены аттестационной комиссии посещают семьи сотрудников, знакомятся с бытовыми условиями их жизни.

Большинство сотрудников ГОВД успешно прошли аттестацию. Среди них — инспектор ДПС сержант милиции Н. Юсубов, автоинспектор старший сержант милиции Д. Барткулашвили, милиционеры О. Мамедов и А. Гусейнов. Тем же, кто, как например, рядовые милиции Г. Ахмедов и Н. Мамедов за аттестационный период не в полной мере выявили свои профессиональные качества, по истечении одного года придется пройти аттестацию повторно.

**Д. КАРЧАВА,**
**майор милиции, начальник Марнеульского ГОВД.**

• • •



**НА СНИМКЕ:** члены аттестационной комиссии—начальник Марнеульского ГОВД майор милиции Д. Карчава, зам. начальника ГОВД по политчасти майор милиции И. Махмудов, начальник ГАИ лейтенант милиции Г. Гаспарян, начальник паспортного стола майор милиции Д. Назлидис проводят аттестацию старшего сержанта милиции автоинспектора Д. Барткулашвили.

Фото Г. Мгалоблишвили.

## ТОЛЬКО ФАКТЫ

**21 июня сотрудниками Тержольского РОВД уличен Э. Б., рабочий Зестафонского ПМК № 4, который для укрытия факта незаконного строительства пытался дать взятку в сумме 300 рублей участковому инспектору РОВД.**

**21 июня в г. Рустави при попытке переброса на территорию ИТК четырех грелок с 12-ю литрами водки домашней выработки был задержан Л. Б.**

**22 июня в г. Ростов-на-Дону сотрудниками РОВД им. 26 комиссаров г. Тбилиси задержан разыскиваемый по всесоюзному розыску Р. К.**

**24 июня в селе Цители-Хеви Маяковского района М. Т., проживающий в г. Кутаиси проник в дом Ц. К., откуда совершил кражу носильных вещей, золотых изделий, 700 рублей и облигаций 3-процентного займа на сумму 400 рублей. Преступник задержан. Краденое изъято.**

**25 июня сотрудниками подразделения УГАИ МВД ГССР выявлено 350 нарушений правил дорожного движения, в том числе: превышений скорости — 38, нетрезвых водителей — 5, нарушений правил обгона — 176.**

---



# ღამის ორი საათი იყო...

**29 მაისს,** გვიან ღამით, ონის შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილს ტელეფონით შეატყობინეს: სოფელ საკაოს შერეული ნაწარმის მაღაზია გატეხეს და 950 მანეთი ფული გაიტაცესო.

ღამის ორი საათი იყო... სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი ჯ. ბროლაშვილი ჩაუდგა სათავეში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნათელი გახდა, რომ ბოროტმოქმედს მაღაზიის შენობაში ვიწრო სარკმლიდან შეუღწევია, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დამნაშავე პატარა ტანის უნდა ყოფილიყო, მძარცველს სიჩქარეში 950 მანეთი გაეტაცებინა, ხოლო 1300 მანეთი, რომელიც იქვე, ქაღალდში შეხვეული იდო, მხედველობიდან გამორჩენოდა.

თენდებოდა, ოპერატიულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ სოფელში ორი თვის წინ გაგრიდან საცხოვრებლად დაბრუნდა ვინმე გ. აბესალაშვილი, რომელიც ბიძასთან ცხოვრობდა, გაირკვა, რომ წინა დღით იგი მაღაზიის გამგეს ახლდა თან, სტუმარმასპინძელი რამდენიმე ოჯახს ეწვივნენ და გვარიანადაც გამოიბრუჟნენ, მთვრალები ერთმანეთს დაშორდნენ.

მარტო ეჭვი არ კმაროდა, საჭირო იყო სამხილის პოვნა. მილიციის მუშაკები გ. აბესალაშვილის ბიძასთან მივიდნენ. ეჭვმიტანილი სახლში არ დახვდათ, მასპინძლებმა, არც მისი ასავალ-დასავალი იცოდნენ. გადამოწმდა ყველა შესაძლო ვერსია ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დასადგენად: გაგრაში, ბზიფში, ბიჭვინთაში, თბილისში, ამბროლაურის რაიონის სოფლებში.

ოპერატიული ჯგუფი უნარიანად, ოპერატიულად მუშაობდა. მესამე დღეს დადგინდა, რომ აბესალაშვილი კვაისის დასახლებაში ვინმე ბაგაევთან იმალებოდა. ღამის 4 საათი იყო, როცა ოპერატიული ჯგუფი ბაგაევის ბინაში თავს დაადგა მას.

ნივთმტკიცება — ფული ამოღებულია, დაკითხვისას ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია, დამნაშავე საკადრის სასჯელს მიიღებს.

**რ. მეტრეველი,**
**ონის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.**

---

სოცშეჯიბრში გამარჯვებულნი

# კვლავ გამარჯვებისათვის ვიბრძოლებთ

**შინაგან** საქმეთა ორგანოების სამსახურში ერთ-ერთი პასუხსაგები და რთული უბანია საპასპორტო განყოფილება. ათასი პრობლემა იყრის აქ თავს და ამ სამსახურის თითოეულ თანამშრომელს დიდი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ტაქტი სჭირდებათ მათი სწორად და სამართლიანად გადასაწყვეტად: ჩაწერა, ამოწერა, ფიქტიური ჩაწერების მცდელობა, ძებნილები, ვიზები სასაზღვრო ზონებში...

მრავალი მთხოვნელი თუ მომჩივანი იყრის თავს ყოველ დღე ამ ქვეგანყოფილებებში და ასე იყო იმ დღესაც, როდესაც ჩვენ 26 კომისრების რაიონის შს განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილებას ვეწვიეთ.

— ქვეგანყოფილების უფროსად 1984 წლის ივნისიდან ვმუშაობ — გვითხრა მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნუგზარ ტუხაშვილმა. ჩვენი რაიონი მუშათა რაიონია, მარტო 31-ე დიმიტროვის სახელობის ქარხანა და მათი მოსამსახურეთა საცხოვრებელი პირობების გადაწყვეტა რად ღირს. ამას გარდა, „თბილგვირაბმშენისა“ და „ისანის“ ფაბრიკას კიდევ ცალკე პრობლემები აქვს.

რაიონში 9 საერთო საცხოვრებელია, რომელთა მაცხოვრებლებს, უმეტესად, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩა-



მოსულები შეადგენენ. მათ შორის ყვარელის ქუჩაზე მდებარე ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგოს ქვედანაყოფის საერთო საცხოვრებელიც. ახლა ამ „არათბილისელებს“ დროებითი ჩაწერის ვადა გასდით, მაგრამ თითოეულ მათგანს თბილისში დარჩენის პრეტენზია აქვს, ასე რომ, ამ მხრივ, უამრავი პრობლემა იყრის თავს. უდიდეს წინააღმდეგობებს ვაწყდებით „ბებია-შვილიშვილის“ ჩაწერა-ამოწერის საკითხთა გადაწყვეტის დროს, მაგრამ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს 26 კომისრების ალმასკომთან... რომელთა დახმარებით ყოველ პარასკევს კომისიაზე გაგვაქვს ყველა საკითხი და საერთო ძალებით ვწყვეტთ მათ.

— სამუშაო, მართლაც, „თავზე საყრელი“ გქონიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, რომ საქმეს წარმატებით უძლვებით. ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ შარშანდელი შედეგებით ქალაქის საპასპორტო განყოფილებებს შორის სოცშეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავეთ...

— დიახ, ეს მართლაც ასეა, წელსაც არ ვაპირებთ მოწინავე პოზიციების დათმობას. ნათქვამია — პირველობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ასე რომ ვაზის უბნის და ვარკეთილის ქვეგანყოფილებებთან ერთად, რომლებიც ჩვენთან შემოდის, კვლავ გამარჯვებისათვის ვიბრძოლებთ.

**ზ. გომართელი**

* * *

**სურათზე: 26 კომისრის შს რაიგანყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ტუხაშვილი და მილიციის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის პოდპოლკოვნიკი ჟ. ტაბატაძე პასპორტს გადასცემენ ახალგაზრდა მოქალაქეს.**

---

# თხილის ქურდის „განძი“

**როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნაზე ვსაუბრობთ, საზოგადოებრივი რეზონანსიც არის გასათვალისწინებელი.**

**...რაიონში გავრცელდა ხმა, რომ მოქმედებდა მძარცველი, რომელიც დაუსჯელი რჩებოდა. მითქმა-მოთქმას ჰქონდა საფუძველი — მოსახლეობაში იკარგებოდა ძვირფასი ნივთები. შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც დაევალა დამნაშავის შეპყრობა. ბოროტმოქმედი ფრთხილად მოქმედებდა, კვალს არ ტოვებდა. საჭირო იყო მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა არც ერთი წვრილმანი სამხილიც კი. და აი, განყოფილებაში მივიღეთ ცნობა, რომ ერთ-ერთი ოჯახიდან ქურდს.... თხილი მოუპარავს. ამან ოპერჯგუფის წევრებს მიანიშნა თუ რა კატეგორიის დამნაშავესთან ჰქონდათ საქმე. შეიძლებოდა ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე ეჭვის მიტანა.**

**დაათვალიერეს ერთ-ერთი სამშენებლო ობიექტი, სადაც წინასწარი მონაცემებით ეჭვმიტანილი მუშაობდა. ყურადღება ერთგან თხილის ნაჭუჭების გროვამ მიიპყრო, როგორც ჩანდა დამნაშავე მის გადამალვას ცდილობდა, რადგან მიხვდა ოპერჯგუფის მისვლის მიზეზს. მალე ყველაფერი ნათელი გახდა....**

**ვინ არის დამნაშავე, ვინც ასე შეაწუხა რაიონის მოსახლეობა? იგი წულუკიძის რაიონში დროებით მაცხოვრებელი ვ. ნ. კოსტიაკოვი აღმოჩნდა — 20 წლის ახალგაზრდა. იგი ადრეც იყო შემჩნეული მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობაში. გამოძიებამ დაადგინა, რომ იგი 1988 წლის 2 ივნისს, ღამით შეიპარა სოფ. ივანდიდში მცხოვრებ ე. ქავზინაძის ბინაში და წაიღო 300 მანეთი ფული და ოქროს სამკაულები. მეორე დღეს ა. კოპალიანს „ესტუმრა“ და მასაც ოქროს ნივთები აწაპნა, ნაქურდალი პურის მექანიზებული საცხობის გვერდით მდებარე ნაძვნარში მიჰქონდა და მიწაში ფლავდა. რას არ ნახავდით აქ: ბრილიანტის ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს, საათებს, ფულის ბანკნოტებს და ა. შ. თხილის ქურდის განძის, საერთო ღირებულება 6000 ათას მანეთს შეადგენდა.**

**დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც კიდევ უფრო მოჰფენს ნათელს მის „საქმე საგმიროებს“. გაგაცნობთ ოპერჯგუფის წევრებსაც, ვინც ბოროტმოქმედი უვნებელყო:**

**ზ. უგრეხელიძე, სისხლის სამართლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი. ოპერრწმუნებულები: მილიციის კაპიტანი გ. სულაბერიძე და მილიციის ლეიტენანტი ვ. ადეიშვილი.**

**უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. კუბლაშვილი.**

**ზ. რუხაძე.**
**წულუკიძის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**

---

ПЕРЕСТРОЙКА: ПОИСКИ И РЕШЕНИЯ

# Эксперт — профессия особая

**ОПЕРАТИВНОЕ раскрытие преступлений, качественное проведение расследований уголовных дел на современном этапе практически невозможно без должного технико-криминалистического обеспечения. Основную работу в этом направлении осуществляет в системе министерства Экспертно-криминалистический отдел МВД ГССР, в котором сейчас активно идет процесс поиска новых форм и методов работы, осуществляется перестройка структуры и деятельности подведомственных подразделений.**



В отделе выполняются на высоком уровне все традиционные виды исследований — дактилоскопические, трассологические, физические, химические, баллистические, робототехнические, почерковедческие и другие, без которых невозможно закончить расследование уголовного дела и передать его в суд.

Решать стоящие перед коллективом сложные и ответственные задачи помогает использование современной техники. По каждому профилю в отделе имеются хорошо оборудованные лаборатории. Круглосуточно дежурит в отделе передвижная лаборатория, используемая для выезда на места происшествий.

В каждой лаборатории работают высококвалифицированные специалисты. Им, как и саперам, ошибаться нельзя — ведь от того, какое заключение они дадут в каждом конкретном случае, зависит не только правильность избранного пути расследования, но и судьбы людей. Именно эксперты могут признать человека виновным или отрицать участие данного лица в преступлении. Поэтому и ответственность на них лежит особая.

Среди передовиков отдела можно назвать сотрудников химико - физической лаборатории капитанов милиции А. Абакумову и М. Харадзе, старшего лейтенанта милиции С. Совдагари. Ни один крупный пожар на территории республики не расследуется без участия старшего пожарно-технического эксперта капитана милиции Г. Тетрадзе — специалиста высокой квалификации, более двадцати лет верно служащего избранной профессии. Широкий круг исследований по вопросам использования и применения огнестрельного оружия, проведения баллистических экспертиз осуществляет другой опытный специалист отдела капитан милиции Г. Акопов. Активно работают в дактилоскопической лаборатории опытные эксперты капитан милиции В. Папиашвили, Л. Наскидашвили и Н. Цулая, а также эксперты - почерковеды капитаны милиции Н. Дашнели и А. Мусхеладзе. Высокое профессиональное мастерство отличает начальника криминалистического отделения майора милиции Г. Топуридзе и автотехнического эксперта капитана милиции Ю. Амирагова.

Одной из основных задач отдела является внедрение последних достижений в области криминалистики в работу ОВД на местах. Так, сейчас широкое применение в практике раскрытия преступлений в республике находят одорологические методы исследования. На базе питомника служебного собаководства УУР МВД ГССР создана специальная лаборатория, которая совместно с сотрудниками ЭКО МВД ГССР, занимается изъятием запаховых следов с мест происшествий и использует их при раскрытии преступлений. Следует, однако, отметить, что этот передовой метод все еще не находит должного широкого распространения в работе ОВД на местах.

В отделе готовится ко внедрению еще одно интересное новшество. Как известно английским ученым - генетиком Джеферсом найден новый оригинальный способ исследования крови человека, при помощи которого возможно установление не только групповой и типовой принадлежности крови человека, но и установление конкретной личности по ее генетическому коду. Метод генетической идентификации, являющийся революционным достижением в области криминалистики, активно внедряется сейчас во всех развитых странах мира. В нашей стране первая лаборатория, которая будет работать в этом направлении, создается сейчас при ЭКО МВД ГССР.

«С тем, чтобы полнее и эффективнее использовать в ГОРОВД республики достижения науки и техники, в конце прошлого года отделом, при поддержке руководства министерства, была проведена перестройка структуры криминалистических служб на местах, — рассказывает начальник отдела полковник милиции Д. Ростиашвили, — раньше мы располагали в республике 30 разрозненными лабораториями, в которых работало по одному эксперту. Они могли в основном обеспечить лишь осмотр места происшествия, обнаружить и изъять вещественные доказательства, которые затем направлялись для исследования в крупные криминалистические центры при МВД Абхазской и Аджарской АССР, УВД г. Кутаиси и т. д. Сейчас же осуществленная перестройка системы работы позволила за счет сокращения отдельных лабораторий создать криминалистические отделы в составе 5 человек, в которые входят эксперты всех основных профилей. Такие укрупненные межзональные экспертно - криминалистические отделения созданы сейчас в городах Зугдиди, Кутаиси, Гурджаани. Значительно усилены криминалистические службы Горийского и Марнеульского ГОВД. Все эти отделения многоцелевые, что позволяет оперативно и качественно проводить экспертизы на местах».

**А. ЦАТУРОВ.**

* * *

**НА СНИМКЕ: сотрудник химической лаборатории, капитан, милиции Л. Абакумова во время микроскопического исследования автокраски, изъятой с места ДТП.**

25 ИЮНЯ ОТМЕЧАЛСЯ ДЕНЬ ИЗОБРЕТАТЕЛЯ И РАЦИОНАЛИЗАТОРА

# Второе призвание



**НЕДАВНО** за высокие показатели в изобретательской и рационализаторской деятельности диплом и денежная премия присуждены одному из активнейших изобретателей Аджарского областного совета ВОИР подполковнику милиции Арамаису Месроповичу Тонояну—за ряд интересных изобретений, не имеющих в мире аналогов. К этому счастливому дню Арамаис Месропович шел долгим и нелегким путем.

Вот как все это было.

Он давно готовился к этой встрече. И теперь, когда оставались считанные часы, еще и еще раз анализировал все достоинства своего детища.

Стук колес поезда Батуми — Тбилиси никак не успокаивал начальника ЭКО МВД Аджарской АССР А. Тонояна. Наоборот, его очень волновала мысль, как отнесутся к его изобретению.

...Заместитель министра ВД Грузии генерал-майор внутренней службы Варлам Иванович Шадури с нескрываемым интересом долго и внимательно рассматривал необычный жезл Тонояна. «Очень нужная вещь!» — похвалил заместитель министра. И вот в рапорте подполковника милиции появилась резолюция Шадури: «Рацпредложение заслуживает всяческого одобрения и внедрения в практику. Прошу организовать изготовление жезла в СКБ или на самом компетентном производстве».

Через несколько дней на совещании в Тбилисском Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского перед сотрудниками милиции генерал-майор продемонстрировал новый жезл Тонояна, что вызвало большое оживление в зале. И это был успех!

После первого успеха в Тбилиси появилась идея усовершенствовать изобретенный криминалистами (очень неудобный станок) пломборез, которым в практической работе мало кто пользовался. Взялся — сделал. И в деловой папке Тонояна появилось еще одно изобретение.

«В нашей работе без изобретательства нельзя. Жизнь идет вперед и выдвигает новые требования. Вот тогда и начинаешь голову ломать — что бы такое изобрести для улучшения работы в каждом конкретном случае. И начинаешь поневоле мозгами шевелить. Иногда и ночами не спишь — вынашиваешь мысли, как лучше это сделать», — делится подполковник милиции.

Наверное потому его работа никогда не замыкалась в рамках обыденного. Наверное и потому в его криминалистических исследованиях, за 35 лет работы ни разу не допускались ошибки. Теперь без созданных им приборов не обходится ни один криминалист Аджарии. «Наш изобретатель!» — так ласково говорят о нем товарищи.

Действительно, самый настоящий изобретатель и открыватель. Взять хотя бы самую обыкновенную процедуру получения отпечатков пальцев у трупа. Как проще провести ее? Не раз задумывался об этом Арамаис Месропович. Не одну бессонную ночь провел он в поиске того основного варианта, который лег в основу нового прибора, не имеющего в мире аналогов. Это дактилоскоп — прибор, которым можно быстро и качественно в любом положении получить отпечатки пальцев рук трупа. Госкомитет по делам изобретений и открытий высоко оценил и это изобретение подполковника А. Тонояна, выдав ему еще одно авторское свидетельство. За последние несколько лет он получил 8 авторских свидетельств на свои новшества. Но сколько бессоных ночей, нервов и средств ушло на каждое такое изобретение...

Сейчас А. Тоноян вынашивает идею создания прибора для трассологических исследований, который сэкономит не только время, но даст государству и экономию денежных средств. И еще одна новая идея обретает жизнь. Это необычный прибор, напоминающий небольшой станок, для получения образцов следов отжима, взлома, распила и т. д. Пока этот интересный и уникальный прибор в стадии разработки. Обиднее всего, что все эти приборы, так необходимые в работе криминалистической службы, имеются всего лишь в одном экземпляре.

Единственная служба в стране, пользующаяся новыми приборами, намного облегчающими труд, — это криминалистическая служба МВД Аджарской АССР. В остальных же службах страны никто и не знает, что есть очень удобный пломборез, которым в считанные секунды можно вскрыть пломбу без механических и физических повреждений, что есть дактилоскоп, с помощью которого можно получить отпечатки пальцев рук трупа, приборы для отстрела всех типов и калибров патронов, для демонтажа патронов к револьверу системы «Наган», жезл для работников ГАИ.

Вполне резонно все эти годы спрашивает Арамаис Месропович: — Неужели это я стараюсь для себя?

Действительно, зачем тратить столько сил для внедрения новшеств Тонояна, рекомендованных ЭКУ МВД СССР? Просто диву даешься, до чего живучи бюрократизм и инертность ряда руководителей, занимающихся внедрением и выпуском специальной техники.

Несмотря на препятствия и трудности, подполковник милиции был всегда уверен — правда восторжествует. И в своих прогнозах он не ошибся. Совсем недавно все его изобретения демонстрировались на выставке МВД СССР. Все его приборы признаны лучшими и рекомендованы в серийное производство. Его изобретения демонстрируются на ВДНХ СССР в павильоне машиностроения.

В Москве, куда его пригласили для консультаций своих новшеств, министр внутренних дел СССР генерал-полковник А. В. Власов за творчество и активную изобретательскую деятельность наградил Тонояна Почетной грамотой.

На днях стало известно, что на Всесоюзном смотре-конкурсе на лучшее рационализаторское предложение А. Тоноян приказом МВД СССР был награжден поощрительной денежной премией. Что и говорить,—истинный талант, в чем бы он ни проявлялся, всегда найдет себе дорогу к признанию.

У Арамаиса Месроповича много интересного и для народного хозяйства страны: уникальные зажимы для пальцев рук при хирургических операциях, оригинальные коляски для малышей и многое другое.

Хочется надеяться, что в недалеком будущем все изобретения подполковника милиции, начальника экспертно-криминалистической службы МВД Аджарской АССР, заслуженного работника МВД СССР, заслуженного юриста Аджарии, специалиста I-го класса будут реализованы в практической работе и коллеги других городов и республик смогут по достоинству оценить в каждодневном труде новые удобные приборы изобретателя А. М. Тонояна.

**З. ЛУКЬЯНОВА,**
член Союза журналистов СССР.

6 ივლისს, 783 წლის წინათ, 1203 წელს მოხდა ბასიანის ბრძოლა, საქართველოს სამეფოს ლაშქრის გამარჯვება თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

● ● ●

შენ — სისხლო ჩემო
სად არ
დაღვრილო...
სად არ გვხვრეპავდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალო,
ნაშამქორალო.
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი ღვაწლია
რამაც აქამდეც კი მოაღწია,
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც,
რაც მტერს წარუტაცნია.
შენ —
სისხლო ჩემო,
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად
მიგრძვნია...
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება —
ვცდილობ გაშორო, —
რაც შემიძლია.
შენ —
სისხლო ჩემო —
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, —
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

**მუხრან მაჭავარიანი**

სპორტი ● СПОРТ



# ЗАСЛУЖЕННАЯ ПОБЕДА

**НА ДНЯХ** завершился турнир по мини-футболу, проводившийся в рамках Спартакиады служб центрального аппарата МВД ГССР. В финальном матче, который состоялся в тбилисском спорткомплексе «Буревестник», встретились команды отдела охраны совпарторганов МВД ГССР и Учебного центра министерства.

Игра, как и положено финальному поединку, носила упорный и напряженный характер. В первом тайме преимущество было на стороне футболистов команды отдела охраны совпарторганов, которые усилиями выдвинутых вперед быстрых и техничных нападающих С. Нерсесяна и Д. Девадзе создали ряд опасных моментов у ворот соперников. В середине тайма они забили гол, по непонятным причинам не засчитанный арбитром встречи. Это, однако, не смутило команду, и буквально через пару минут С. Нерсесян все-таки открывает счет.

Во втором тайме игра выровнялась, и теперь уже агрессивнее атаковали спортсмены Учебного центра. Им удалось сравнять счет — мяч провел Г. Гвритишвили. Затем у них было еще по крайней мере три реальных возможности для взятия ворот, но их усилия были сведены на нет четко действовавшей обороной соперников и самоотверженной игрой вратаря Ю. Пация. Отстояв свои ворота, футболисты отдела охраны совпарторганов сумели переломить ход встречи и, забив второй мяч (Д. Девадзе), одержали заслуженную победу.

Победители турнира выступали в следующем составе: **Ю. Пация, Н. Беношвили, П. Ломидзе, Н. Касрелишвили, Г. Горгодзе, С. Нерсесян и Д. Девадзе.** Им были вручены кубок за победу в турнире, вымпел и дипломы первой степени. Второе место заняла команда Учебного центра МВД ГССР, на третьем — футболисты отдельного подразделения по борьбе с эпизоотией.

**А. ЛЬВОВ.**

* * *

**НА СНИМКЕ: победитель турнира по мини-футболу команда отдела охраны совпарторганов МВД ГССР.**

მოწინავე გამოცდილება



# გზაჯვარედინებზე

„ნიანგის გალერეა" — ერთი საამაყო რუბრიკაა, რომლის მოცულობის შემცირება სამოქმედო პროგრამად გაიხადა ავტოინსპექციამ და ჩვენმა რედაქციამ" — ასე იწყება რესპუბლიკის სახავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორის გ. აბულაძის მასალა ბახუსის მოყვარულ მძღოლებზე ჟურნალ „ნიანგისა" და სახავტოინსპექციის სატირულ-იუმორისტული ბუკლეტის „გზაჯვარედინებზე" 1988 წლის პირველი ნომრის ფურცლებზე. ეს ბუკლეტი თავად წარმოადგენს სახავტოინსპექციის სამოქმედო პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ პროპაგანდისტულ საშუალებას.

გაზეთმა „იზვესტიამ" ყურადღება გაამახვილა საგზაო წესრიგის დამრღვევებსა და ავტოინსპექციის მუშაკთა შორის წარმოშობილ ხშირ კონფლიქტებზე, მოძრაობის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერ მოთხოვნათა დაცვას დიდი ყურადღება დაეთმო ახალ დოკუმენტში, რომელიც 1987 წლის 1 ივლისიდანაა ძალაში, ამიტომ გაზეთის რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა აზრთა შემდგომი გაცვლა-გამოცვლა — ნათქვამია გ. პეტრიაშვილის ავტორობით მომზადებულ პუბლიკაციაში.

„მთვრალი „ხელმძღვანელი" საჭესთან" — რესპუბლიკის სახავტოინსპექციის პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსის, მილიციის კაპიტან რ. იანტბელიძის მასალას სააშკარაოზე გამოჰყავს ის ვაიხელმძღვანელები, ვინც თავად უნდა იყვნენ სხვებისთვის მაგალითის მიმცემნი. ასეთები კი მრავლად გამოავლინა თბილისსა და აფხაზეთში ჩატარებულმა რეიდმა.



ვ. კუციას ნახატი

ბუკლეტში შევხვდებით ცნობილი იუმორისტებისა და კარიკატურისტების: ვ. ცინცაძის, გ. შეთეკაურის, ვ. კუციას, ჯ. ლოლუასა და სხვების იუმორისტულ ლექსებს, ნახატ ხუმრობებს, უცხოურ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ შემდგომში ბუკლეტში გამოაქვეყნებთ სახელის რა ზომები გატარდა დამრღვევთა მიმართ. ეს უფრო მეტ ქმედითობას, სიმწვავეს შესძენს ბუკლეტს.

ვ. ნადირაძე

1988 წლის 6 ივლისს 17 საათზე ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის სხდომათა დარბაზში მოეწყობა შს სამინისტროსთან არსებული ლიტერატურის წრის ალმანახის „ბოროტსა სძლია კეთილმან" განხილვა (I და II წიგნი, გამომცემლობა მერანი", 1983-1987 წლების გამოცემები).

მომხსენებლები: კრიტიკოსები ომარ გოჩილაშვილი და ელგუჯა ჯიქია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ:

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 00257

რედაქტორი ა. კობალაძე